# თეატრი და ცხოვრება

თეატრალური სალიტერატურო ჟურნალი

შაბათი, 23 მაისი | ვაჟა-ფშაველას პატივსაცემლად სახვალიოო—კვირის „თეატრი და ცხოვრების“ ნომერი დღეს, შაბათს, 23 მაისს გამოვიდა | № 21—1915



**დამსახურებული მგოსანი ვაჟა-ფშაველა**

(ლუკა პავლეს ძე რაზიკაშვილი)

სამწერლო მოღვაწეობის 35 წლის შესრულებისა და მის პატივ-საცემ დღევანდელი საღამოს გამო (სახაზინო თეატრში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახალი გამოცემა

ყველასათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი

# უცხო სიტყვათა სრული ლექსიკონი

**ანუ ქართულს ენაში შემოსულ უცხო სიტყვათა ახსნა-განმარტება**

**შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ**

მეორეთ შევსებულ-შესწორებული (პირველ გამოცემაზე ბევრად გადიდებული). წიგნში ახსნილ-განმარტებულია სამოც ათასამდე (60000), უცხო ენათაგან (ფრანგულ. ინგლისურ, ლათინურ და სხ.) შემოსული, სიტყვა და ანდაზა. წიგნი შეიცავს ათას ექვსას სვეტამდე, მოზრდილი ზომისაა, აწყობილი იქნება ახალი კორპუსის მთავრული და ჩვეულებრივი ასოთი, ჩასმული ინგლისურ საუკეთესო კალენკორის ყდაში, მოოქროვილ-მოვარაყებულ ასო არშიებით შემკული. ვინც ისურვებს, წიგნზე დაიბეჭდება მისი სახელგვარის პირველი ასოები.

ხელისმომწერთათვის გაგზავნით ღირს **ორი** (2) **მანათი** (ფულის გადახდა შეღავათითაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 1 მან., დანარჩენიც—წიგნის გამოსვლის ჟამს.

ხელის მოწერა მიიღება: ჟურ. **„თეატრი და ცხოვრების“** რედაქციაში („სორაპანი“-ს სტამბაში). **ფოსტით:** Тифлисъ. Ред. **„Театри да Цховреба“ Іос. Имедашвили.**

---

თბ. სახაზინო თეატრი

**„ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოება,** შაბათს 23 მაისს გამართავს

## საღამოს

## ვაჟა-ფშაველას პატივსაცემლად

შემდეგის პროგრამით:

I. **გრ. რობაქიძე**—სიტყვა: „ვაჟა-ფშაველა“.
**ი. მაჭავარიანი**—სიტყვა ვაჟა-ფშაველაზე.

II. **ივ. სარაჯიშვილი**—ქართული რომანსები
**თაგუნა**—სატირა და იუმორი.
**ქ-ნი შავერზიშვილი**—რომანსები.
**მ. კავსაძის ხორო**—ქართული ხმები.

III. **ვაჟა-ფშაველას ლექსებს წაიკითხავენ:** გრ. რობაქიძე, ნ. ერისთავი, ალ. იმედაშვილი, ივ. ბუქურაული, დ. რაზიკაშვილი და სხვანი.

დასასრულ თვით **ვაჟა-ფშაველა** წაიკითხავს საკუთარ ლექსებს და ქართულ სიტყვა-კაზმულ საზოგადოების თავმჯდომარე **გრ. რცხილაძე** იტყვის მოკლე სიტყვას. ბილეთები ამ თავითვე იყიდება თეატრის კასაში.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ ს.

გამგენი: **ვ. გუნია და ყ მაყაშვილი**

თბ. სახაზინო თეატრი

**კვირას, 24 მაისს**

ქართველ მსახიობთა მიერ **ვალ. გუნიას** მეთაურობით წარმოდგენილი იქნება ვილიამ შექსპირის

## ოთელო

ტრაღედია 5 მოქ. თარგმანი ივ. მაჩაბლისა

**ოტელოს როლს** შეასრულებს **ალ. იმედაშვილი**

თანამშრომელნი: ქ-ნნი ან. ქიქოძე, მ. ქილარჯიშვილი ბ-ნნი: ვ. გუნია, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, პ. კორიშელი, დ. მგალობლიშვილი, პ. ფრანგიშვილი, ი. ჟივიძე, ა. შანშიაშვილი, ი. თარალაშვილი და სხ.

**ადგილების ფასი დაკლებულია**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე

რეჟისორი **ვ. გუნია**

---

**24 მაისიდან თბილისში გამოვა ნაცვლად ,,კლდისა'' ყოველ დღიური გაზეთი**

## საქართველო

წლის დამლევამდე 5 მ. ,,კლდის'' ხელისმომწერთ, რომელთაც მთელი წლის ფული აქვთ გადახდილი, გაზეთი გაეგზავნებათ 3 მკათათვემდე. (ადრესი Тифлисъ. Московская, 4).

რედ.-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა


# თეატრი და ცხოვრება

№ 21

წელიწადი მეხუთე

წლიურად **5** მ., ნახევარ წლით **3** მ., ცალკე ნომერი **10** კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპან“ის სტამბაში. მისამართი: **Тифлисъ Ред. „Театри да Цховреба“ I. Имедашвили**

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანის“ სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 21 შაბათი 23 მაისი 1915 წ.


4301

## 23 მაისი

**ცხოვრება წინ გვიწევს!**

სინემატოგრაფ-კინემატოგრაფმა მთელი მოწინავე კაცობრიობის სული დაიფლო და ხელოვნების ასპარეზზე თვალსაჩინო ადგილიც დაიჭირა...

დიდი ხანი არ არის, რაც სასცენო ხელოვნების საფრთხედ აღიარებდენ მას: თეატრს ქიშპობას გაუწევსო, მაგრამ ეს აზრი სავსებით არ გამართლებულა და, ჩვენა გვგონია, ვერც გამართლდება .. მაგრამ რომ მართლა მოქიშპეც შეიქმნეს, თუ კი თეატრზე ძლიერი გამოდგა, ბევრიც რომ ვეწინააღმდეგოთ, მაინც განვითარდება, წინ წავა..

და იგი, სინემატოგრაფი, არა თუ ჩვენს დაბა-ქალაქებში გავრცელდა, ლამის სოფელშიაც შეიჭრას

მერე რანაირი სურათები შეაქვს ხალხში?—სულ უცხოთა ყოფა-ცხოვრების, ბუნებისა და ისტორიის მაჩვენებელი, არა, მშობლიური, ხშირად უშინაარსო, და შესაძლოა, მავნე მიმართულებისაც .

ამ შემთხვევაში რა გვმართებს? გულ ხელდაკრეფით ვუცქიროთ, უცხოეთის მოსაქმე-ოსტატ მრეწველნი ჩვენს შორის რა სისწრაფით გაავრცელებენ ყოველივე უცხოს და იმავე დროს როგორ ისარგებლებენ ჩვენის ჯიბ-ით?

რა თქმა უნდა - არა?

მაშ როგორ მოვიქცეთ?

ვიდრე ამაზე პასუხს მიუგებდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია მკითხველს გავაცნოთ ამ საგნის შესახებ ჩვენი ჟურნალის ფოთელი ერთი პატივცემული მკითხველის აზრი აი სიტყვა-სიტყვით რასა გვწერს:

„ეთნოგრაფიულმა საზოგადოებამ, ქ. შ. წ. გ. ს. ანა და, თუ შესძლებს, დრამატიულმა საზ—ამ ამ თავითვე გადასდოს რამოდენიმე ათასი მანათი იმ მიზნით, რომ ჩვენი წარსული ისტორიული, ან და მწერლობიდან,—ყაზბეგი, ილია, გოგებაშვილი, თუ სხვა მწერალთა ნაწერებიდან,—ამოღებული ამბები მხატვრულად დადგმული და შესრულებული, ქართველ მსახიობთაგან ნათამაშევი, ეკრანზე გადიღოს და თითონ გამოსცეს სურათები ქართული თეატრის ფონდის სახელით. ამას ორნაირი მნიშვნელობა ექნება: ერთი - ჩვენს ისტორიასა და მწერლობას გააცნობს უცხოთ, მეორე—მატერიალური. თუ საამისო თანხა არ მოიპოვება, შეიძლება შეთანხმება რომელიმე ფირმასთან“, (აქვე გვისახელებს ერთ-ერთ ფირმათაგანს, რომლის ვინაობის გაგება რედაქციაში შეიძლება).

ამ წერილს ვგონებ განმარტება აღარ ეჭირვება, მისაგები საქმეა, როგორც ქონებრივად,-ისევე ზნეობრივ იდეურად და მაშ ნულარ ვყოვნებთ: ცხოვრება წინ გვიწევს და ჩვენ რაღას ვუცდით!..

—

**მთის არწივი— ვაჟა-ფშაველა**

მთამ ბარს თავი დაუკრა, ბარმა მთას შესცინა... ერთმა მეორე იცნო, შეიტკბო, შეისისხლხორცა, ეზიარა და ...

ბარი უმთოდ და მთა უბაროდ რომ ... ვარგა — ეს ისტორიული მცნ...

მთელი ჩვენი სამშობლო ... გაერთიანებული, გათვითცნობიერებული და ერთ მთელად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაქცეული, —აი, ჩვენი საარსებო მისწრაფების დასკვნა...

ამის ერთი ამაყი მომღერალთაგანია მთის არწივი — ვაჟა-ფშაველა, რომლის პატივსაცემლად დღეს, 23 მაისს, სახაზინო თეატრში შეიკრიბება მოწინავე, მოაზრე საქართველო...

შეიკრიბება, რომ თავისი სიყვარული და პატივისცემა გამოუცხადოს თვის სისხლ-ხორცს, ხელებ-დაკოჟრებულ, მარად ხალხის კვნესავაებით გულ-გაბასრულ მგოსანს...

ჩვენი ცხოვრების „ც სკარი იჟუჟრიბანდა, სულს ლევს თანდათან ქრებოდა“, როდესაც იგი ჩვენს მწერლობას მოევლინა...

მოევლინა და ჰნახა „ქვეყანა ნაოხარია“...

გულს ცეცხლი აღეგზნო, ბედშავ სამშობლოს ჭირ-ვაებით იწროთ, ფუფუნებით ცხოვრებას განერიდა, პირად ბედნიერებას ხელი აალო, მიაშურა სამშობლო მთა-გორებს, ბეჩავ ხალხის საბუდარს, რომ ხალხთან და ბუნებასთან პირისპირ ყოფნით ხალხის სიბრძნით სრულქმნილიყო და ღვთიურის ცეცხლით გაეთბო ცივ ზამთრისგან დაზრულ სამშობლოს გული და გრძნობა...

ჯადოსნურად აამეტყველა უტყვი, ქვა და მცენარე, ფრინველი და ნადირი, ბუნების მოვლენათ ენა ამოადგმევინა, ერის გულისნადები გამოამზეურა და მას მთელი სამშობლო დააწაფა ..

მაგრამ მხოლოდ „ტკბილ ხმათა“ როდი მღეროდა ჩვენი მთის არწივი - ვაჟა: იგი იმავე დროს იყო მოქალაქე—მოაზრე, მაღალ მისწრაფებათა შთამნერგავი, სამშობლოს ჭირისუფალი, მშვენიერება-სილამაზის ქურუმი და კაცთა სულიერად ამმაღლებელი...

სამშობლო ქვეყნის ბედ-უკულმართობით „ცრემლი წინ უდგა გუბედა“ და ამითი გამწარებული თანამემამულეთ ეკითხება: **„სრულ ჩვენ რადა ვართ ტანჯვაში, კვნესა რად ისმის ჩვენითა?“—ო**, ხოლო თანამოძმეთა ფუქსავატობას რომ ჰხედავს, უსაყვედურებს: „რა წერილობას გაგვიწევს, თოვლზე ამბავი ვწეროთა?“.ო

იგი ჰგმობს და ჩვენც გვაზიზღებს, „ვინც ხალხსა სჩაგრავს და მტრობს, ვინც ფეხქვეშა სთელავს, ერის უფლებას, არაფრად აგდებს ხალხის ზნე ჩვეულებასა!“

მამა კაცთა უმოქმედობით გულმოკლული მდედრთ მოუწოდებს **„უკაცურთ კაცობა გმართებთო!“**, რითაც ყველას გულში უღვიძებს თვითმოქმედების უნარს.

მისი აზრით „ურგები შვილი დედას არ უნდა ჰყავდეს“ და ქვეყნის უსარგებლო კაცი სჯობია ქვად გაჩნდესო ..

და დღეს თუ საქართველო რაოდენათმე გათვითცნობიერებულია, თუ უკვე ვცნობთ მოყვარესა და დუშმანს, თუ თვითარსებობა გვწყურია და საკუთარ კერაში ცეცხლის გაღვივება, მოქალაქეობრივ გრძნობითა ვართ გაჟღენთილი და მომავლის ბრწყინვალე იმედით შევსცქერით —ამაში დიდი და დიდი წილი უძევს მქადაგებელ — მგოსანს ვაჟასაც...

სხვა, დაწინაურებულ ერთა შორის, ასეთ მგოსანთ არა თუ ნივთიერად უზრუნველ ჰყოფენ, სიცოცხლეშივე დიდების გვირგვინით დასდაფნიან, ხოლო ჩვენ უბრალო მადლობის გამოთქმა რომ შევძლოთ, ესეც—დიდი რამეა ..

მაშ ნუ ჩამოვრჩებით საერთო ზეიმს და დღეს პირისპირ ვაშა შევსძახოთ იმ მგოსანს, რომელიც მარად ამაღლებდა ჩვენს სულს, გულს, რწმენასა და იდეალებს ..

„თქვენადვე გარგებთ, დობილნო,
თუ უხვათ დაიხარჯენით“.

# ფიქრები

„მე ვარ და ჩემი ნაბადი—
გამთენებელი ღამისა“...
ხალხური

მე ვარ და ჩემი ნაბადი—
გამთენებელი ღამისა,—
ფიქრები, შავი ფიქრები
დაუსრულებელ ჟამისა;—
დავწვები—ჯავრი ჩამყვება
ცხოვრების ჭირ-ვარამისა...

*

ეროვნული ბიბლიოთეკა



**მუსიკოს-ლოტბარი სანდრო კავსაძე**
მ მოკლე ხანში აპირებს პირველი დიდი ქარ-თული ეროვნული კონცერტის გამართვას.

---

ძილშიც კი მოსვენებასა
არ მაძლევს ფიქრი ტიალი:
„ნეტა რათ არის ამ ქვეყნათ
მარად-ჟამ კვნესა-წრტიალი?..“
აჰა, მუდმივი საკითხი,
მუდმივი გულის ტრიალი!..

*

„ან რისთვის არის მდიდარი,
ან რატომ არის ღარიბი?
რათ არის შეუძლებელი
ყველასთვის ერთი ყალიბი?“
ამას ვკითხულობ ეული,
ამას ვკითხულობ ყარიბი..

*

რათ არის ჩაგვრა კაცადის,
რათ არის ჩაგვრა ერისა?
უფლება „კანონიერის“,
უუფლებობა „გერისა“?
რათ მოშხამულა ცხოვრება
ყმაწვილისა და ბერისა?..

*

მე ვარ და ჩემი ფიქრები —
გამთენებელი ღამისა, —
ფიქრები, შავი ფიქრები
ცხოვრების ჭირ-ვარამისა..
მოვკვდები — საიქიოსაც
ჯავრი გამყვება ამისა..

**სილოვანი**

# მაღარო

—

— ხალხო, კედელი!!!
— კედელი ირღვევა, კედელი!!!
— არიქა, არიქა!!!
— დასცალეთ!.. გადით!..
— საყვირი!..
— უუუუუ!!!
— თავს უშველეთ, თავს!!! — გაისმა ელდა დაცემულთა არეული ხმა და შავ ტალღასავით იხუვლა მიწის ჯურღმულებში გაფანტულმა მუშა ხალხმა.

—

— აბა, ჰა!!!
— ჩქარა!!! ჩქარა!!!
— გასწით!!! გაიქეცით!!! - ღრიალებ. და გამოსასვლელ კარებისაკენ მოხეთქილი ზღვა ხალხი და ანგარიშ მიუცემლად იწევდა წინ.
— გრრრ — რუხ!!! - ას ზარბაზანივით იგრიალა მაღარომ და ჯოჯოხეთური ხმაურით ჩაიქცა..
— ვაი!!! ვააააი!!!
— ოჰ!!! ოოოხ!!! — ყრუდ მოისმა პირქუშ ნანგრევებში მოყოლილ ლუკმა პურის მსხვერპლთა ათასნაირი გმინვა, რომელიც სასაკლაოში ყელ-გამოღადრულ საქონლის უკანასკნელ ღმუილს უფრო მოგაგონებდათ, ვიდრე ადამიანების ხმებს

—

.. ათასი კუბო დაღუპულ ძმების..
ათასი ზარი გულ-მკვდარ დედების...
ათასი მოთქმა, წივილ-კივილი, ცისქვეშ დარჩენილ წვრილ ცოლ-შვილების...
მაღაროს პატრონი კი განმარტოებით იდგა და სინიდის დამშვიდებული ზარალის ერთი ორად ანაზღაურებაზე ოცნებობდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყოველივე წარმავალია

ღამე იყო...

ის იჯდა თავის საწერ მაგიდასთან და ფიქრობდ . სანთლის გარშემო პეპლები დაფარფატობდენ... ეხვეოდენ, არ სცილდებოდენ მას, თუმცა ნაზი ფრთები ალზე ეწვოდათ. ის მისჩერებოდა ამ სინათლეს და ფიქრობდა, ხოლო ფიქრი მისი შორს იყო. ფიქრში გართული, ის არც კი გრძნობდა, რომ ამ პატარა, ღარიბად მორთულ ოთახში იჯდა... ბედნიერადა გრძნობდა ის ახლა თავის თავს... მასაც გაუღიმა ბედმა, მისკენაც მოიხედა, მისი მწყალობელიც გახდა ..

ის ცნობილი მწერალი შეიქმნა.

სახელი და დიდება ახლა მასაც ჰქონდა.. ყველა კითხულობდა მის ნაწერებს... ის ახალგაზრდობის სათაყვანებელი კერპი გახდა და თანამედროვე ლიტერატურის მნათობთა შორის საპატიო ადგილი ეჭირა...

მან მიზანს მიაღწია და მხიარული, ბედნიერი იყო ამით...

და მარტო მჯდომი, ახლა ამ ბედნიერებაზე ფიქრობდა. ფიქრის ფრთებზე დაფრინავდა ის ახლა ოცნებათა სამეფოში. . სიამოვნების ღიმი ჰქროდა მის ტუჩებზე...

ის ახლა სიყვარულსაც ელოდა კიდევ .. და იმედი ჰქონდა, რომ საყვარელი არსება მასაც შეიყვარებდა. და მისი ბედნიერება ხომ მაშინ განუსაზღვრელი იქნება?

ამ გვარ ფიქრებში ჩაეძინა მას იმ ღამეს...

——

განვლო ცოტა ხანმა ..

ის არ მოსტყუვდა სატრფიალო არსებამ მას სიყვარულითვე უპასუხა... და არ უჩნდა საზღვარი მის ბედნიერებას .

მისი ახლანდელი ბინა აღარ გავდა ძველს მყუდროებით მოცულს, რომელშიაც მხოლოდ მისი საკუთარი ფეხის ხმის მეტი არა ესმოდა...

ახლა ის მდიდრულად მორთულ სახლებში სცხოვრობდა. გარედან, ყოველ ღამე ბრწყინვალედ განათებულ ოთახებში, შეხედავდით ლამაზად ჩაცმულ ქალ-ვაჟს, რომელნიც ტკბილ მუსიკის ჰანგებზე ნელა ფეხს უწყობდენ და მისრიალებდენ მოელვარე იატაკზე .. დაიწყო მხიარულება და ნადიმი მის სახლში და ბედნიერი იყო იგი.

——

მისი მეგობრები მას გარს ეხვიენ სახლში და გარეთ... ართობდენ მას, რჩევასა და დარიგებას აძლევდენ საჭიროების დროს და ყოველთვის ერთგულებას იჩენდენ.

და მასაც უყვარდა, გულწრფელად. უყვარდა ისინი და არა ერთჯერ უფიქრნია, რომ მათთვის თუნდა ცეცხლშიაც გავივლი ..

——

და განვლო დრომ საშინელმა, ულმობელმა დრომ... დრომ მოსტაცა მას დიდება და სახელი, გაქრა ის, ვით ნისლი მზიან დღეში, ვით კომლი ცის სივრცეში... დიდება და სახელი ისე უცბათ გაქრენ, როგორადაც უეცრად, მოულოდნელად მოვიდნენ...

თანდათან ავიწყდებოდა ის ყველას... ბოლოს ტალღამ დავიწყებისამ მას სულ გადაუარა, ის თითქმის ცოცხლათ დამარხულს დაემსგავსა... ყველამ ზურგი აქცია...

ის ერთგული „მეგობრები", რომელნიც მისი ხშირი სტუმრები იყვნენ, რომელნიც მას ყოველს წუთს თავის ერთგულებაში არ წმუნებდენ, ისინიც ჩამოშორდენ, მათაც მიატოვეს ის ..

და როცა ის ქუჩის ერთის მხრით მიდიოდა, თუ იმავე მხრით მომავალი მისი ყოფილი მეგობარი შეხედავდა მას —ის მეორე მხარეს გადმოდიოდა, თვალს არიდებდა მას...

საყვარელმა არსებამაც მიატოვა იგი... სახელთან ერთად სიყვარულიც გაქრა.. სახელთან ერთად მან სიყარულიც დაასამარა..

გაქრა მისი სიმდიდრეც .. ის სტოვებდა ცხოვრებას იმ გვარივე ღარიბი, როგორათაც ღარიბმა და უფულომ ცხოვრებაში ფეხი შესდგა...

——

და გაჰქრა ყოველივე ..

დარჩა ის მარტო... მის პატარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთახში სანთელიც არ ენთო ხშირად .. მყუდროება სუფევდა შიგ . მხოლოდ ხანდისხან ისმოდა მძიმე ხველა მისუსტებულ ადამიანისა და ნელი კვნესა ის ახლა იწვა .. იწვა და სულ ფიქრობდა... მხოლოდ მისი ფიქრების საგანი ახლა წარსული იყო . ეს მოგონებანი ღა ასულდგმულებდენ მას .. მაგრამ ის ჯერ კიდევ ვერ შერიგებოდა იმ აზრს, რომ წარსული აღარ დაბრუნდება, რომ ის, ახლა ყველასაგან მივიწყებული, კვლავ არ აღსდგება, არ გაახსენებს საზოგადოებას თავის თავს, არ იტყვის უკანასკნელ სიტყვას, ვით გედი, სასიკვდილოდ განწირული...

.. და ღამის წილ დღე დგებოდა, დღის წილ კიდევ ღამე.. და ასე ერთ ფეროვნად მიდიოდა დრო..

——

გაზაფხულის დილა იყო...

დილის მზე უხვად აფრქვევდა სამყაროს თავის ცხოველმყოფელ სხივებს. თანასწორად ათბობდა და უნათებდა იგი ყოველსა და ყველაფერს... და სამყაროც ხალისობდა.. მის ოთახშიაც შეიჭრა ოქროს სხივთა კონა და გაანათა იგი, ბნელით მოცული.

ის იწვა, მხოლოდ უძრავი იყო სხეული მისი... ამაოდ ეთამაშებოდენ მას მზის სხივები, ამაოდ ეძახდენ სიცოცხლისაკენ... ის უძრავი იყო. მის გაციებულს მიწის ფერ სახეს ველარ ათბობდენ მზის სხივები...

საწოლის წინ მაგიდაზე სანათი იდგა... საწერელი.. იქვე იდო ქაღალდიც... ზედ არაფერი ეწერა. მხოლოდ ზევით სუსტი ხელით გამოყვანილი იყო ორი სიტყვა: „ყოველივე წარმავალია".

ალბად ეს მისი ახალი ნაწარმოების სათაური იყო..

მაგრამ სასტიკ სიკვდილს არ ეცალია მისთვის, მას აღარ დაცლოდა უკანასკნელი სიტყვის თქმა..

და მზით განათებულ საწოლზე ახლა იმისი გვამი-ღა იდო...



პორუჩიკი
**მსახიობი კირილე მაჭარაძე**
ავსტრიელებთან ბრძოლის დროს შრაპნელის ტყვიით დაიჭრა მარჯვენა ხელში; განკურნების შემდეგ ბრძოლის ველზე დაბრუნდა, დაჯილდოვებულ იქმნა წმ. ანნას მეოთხე ხარისხის ორდენით.

---

# გახტრიონი

## პოემა ვაჟა ფშაველასი

(კრიტიკული ესკიზი)

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც." № 20)

მართლაც რომ სადღეგრძელო იყო მთელი ხალხის გვარი... მას მთელი არსებით აღელვებდა კახთა შავბედი... პირველად თუშთა შორის დაიბადა ჯვარი კახთა განთავისუფლებისა. და კვირია, რომელიც თავის თავზე ამბობს, რომ

„ოცს წელს მიწა მაქვს ლოგინად,
ცა მახურია საბნადა;
ავდარში შავი ნისლები
ტანზე მეხვევა ნაბდადა"

შეიქმნა თუშთა მისწრაფების გამომხატველად ფშავ-ხევსურთა შორის, რომლებთანაც გამოგზავნილი იყო მოციქულად .. კვირია ამბობს:
„დაჯავრდენ თუშნი, რო ნახეს
ქვეყანა (კახეთი) ნაოხარია.
პირი ქნეს, იმათ წინ უძღვის
ზეზვაი საოცარია.
სუყველამ ტანზე აისხა
აბჯარი საომარია!..
მე გამომგზავნეს საჩქაროდ
ფშავს და ხევსურეთს გზირადა!

მართლაც, არაფერი არ აგრძნობინებს ისე თავის ერთობას ერს, რამდენიმე თემად დაყოფილს,—როგორც საერთო მწუხარება, საერთო

უბედურება... ერთს ტაფაში ხრაკვა... პოეტს ეს აზრი გამოთქმული აქვს ცხადად იმ ადგილს, სადაც კვირია ხევსურ-ქალს განუმარტებს თავისი თუშეთიდამ მოსვლის საგანს... კვირიამ უნდა გადასცეს ფშავ-ხევსურებს თუშთა შემონათვალი:

„ჩვენაც ხომ თქვენი ძმანი ვართ,
სისხლით, ხორცით და რჯულითა,
მტერმა დაგვჩაგრა, გვიშველეთ,
გაუტეხელნო გულითა.
უბაროდ განა არ იცით
მთანიც რომ ვერა გვარობენ?!

და ამისი მსგავსი ტანჯვა არა ერთხელ და ორჯერ განუცდია შავ ბედის მიერ მრავალწამებულს ქართველ ერს!.. მთელი მისი ისტორიული ცხოვრება მოწამებრივობაა .. უნებლიედ უღონდებოდა ქართველს გული, როდესაც გაითვალისწინებდა თვისი ღვიძლი ერის გამუდმებულს ტანჯვას..· ხევსურეთის მოხუცი ასული სანათა ბერიძისა ამ გულსევდიანობის ცოცხალი გამომხატველია ვაჟა-ფშაველას პოემაში:

„სულ ჩვენ რადა ვართ ტანჯვაში,
კვნესა რად ისმის ჩვენითა?
როდემდის უნდა ვსტიროდეთ,
მიწა ვასველოთ ცრემლითა?
როდემდის უნდა ვიბანოთ
სისხლით პირი და ხელები?
შვილთა მაგივრადა დედებსა
ძუძუს გვიწოვდენ გველები?
როდემდის უნდა ფეხითა
ვლახოთ ჩვენივე წელები,
ცეცხლები გვერტყას ათასი
გულის, გონების მწველები?!

მაგრამ ეს მისი კითხვა რჩება უპასუხოდ სწორედ ისე, როგორც მეორე მისი ჩივილი:

„რად გვინდა დედებს შვილები?
რაზედ ვწვალდებით ნეტავი?
გაჰზდი, გალაღებს ვაჟკაცი,
ლამაზი გორის მდრეკავი;
გალაღებს, მაგრამ ტყუილად:
დღეს მთელი, ხვალე მკვდარია;
მოვა, წაიღებს უეცრად
სისხლისა ნიავ-ღვარია!

და რამდენი ქართველი შვილი ჩაიხუტა საქართველომ თავის სისხლიან გულში, მისთვის მოკლული ბრძოლის ველს.., მ[illegible] თვით სანათა ბერიძეს შვიდი ვაჟი ჰყავდა და შვიდივე უმსხვერპლა მამულის თავისუფლებას წარბ შეუხრელად, გმირულად... მაგრამ შვიდი ვაჟი შვილის და ქმრის დამკარგავი მოხუცი, უშემწეო სანათა ისეა გატაცებული სამშობლოს სიყვარულით, ისე მაღლა აყენებს საერთო სარგებლობას თვის კერძო სარგებლობაზე, რომ უკეთუ მტერი დამარცხდება, მეტად გაეხარდება. მაშინ — ამბობს იგი:

„არ ვიტირებდი მკვდრებზედა;
იმავ დღეს, შვილო, დედილამ,
ჭრელს ჩავიცომდი კაბასა..
თუ ამამყრიდით მტრის ჯავრსა,
შვილთ არც კი მოვიგონებდი,
რაღა მიჭირდა, თუ მტრისა
გაჟლეტას გავიგონებდი
გულიდამ ეკლის სალტასა
მაშინვე მოვიფონებდი“.

არც გასაკვირელია ეს გარემოება იმ დედის მხრით, რომელსაც განვითარებული აქვს შეგნება საერთო სამშობლოსი, რომლის ჭირისთვის ჭირად და სიხარული--თვის სიხარულად მიაჩნია:

იგივე სანათა ამბობს:

„გვეყო ამდენი ცრემლის ღვრა,
დაუშრობელი ვაება;
არ თუ ვებრალვით საყმონი,
რომ აღარ გვწყალობს ღვთაება
გვიშველე, ლაშარის ჯვარო,
დაგვჭირდა შენი თავია;
შენი ფრანგულით აკურხე
თუშ-ფშაველ-ხევსურთ ზავია...
გვიჭირს და გამოგვიყვანე
შეუმუსრავი ძალია“.

ასეთი შეგნების პატრონი დედა იამაყებდა რასაკვირველია, თუ მისი ძე პირნათლად შეასრულებდა მამულისშვილის და მეომრის ვალს მტერთან ბრძოლის ჟამს... მაგრამ რაზომ გლოვობდა ქართველი დედა, უკეთუ მისი შვილი შეირცხვენდა თავს ომის დროს და მტერს გაექცეოდა შეშინებული და დამფრთხალი... ასეთს დედას ერჩია არა თუ იმწუთშივე მომკვდარიყო, რა წუთსაც ეს სამარცხვინო ამბავი გაიგონა, არამედ სრულებით არც კი დაბადებულიყო, სულ არ გაჩენილიყო დედამიწაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ნეტავი თავზე დამეცეს
მთა-ღელე ბარიანადა!
ნეტავ არც შვილი მყოლიყო,
არც გავჩენოდი დედასა,
თუ ამას მოვესწრებოდი,
ამდენ სირცხვილის კრეფასა!
შვილო! სირცხვილი მაჭმიე
ძუძუ დასწყევლე დედისა!..“

ასე სტირის დედა თავის შვილს წიწოლას, რომელიც ომის დროს ბახტრიონთან შეკრთა და მტერს ზურგი უჩვენა.. მთის ძენი ამ გარემოებას — ბრძოლის ველიდამ ლტოლვას — მომაკვდინებელ მოვლენად სთვლიდნენ.., ისინი, დაბრუნებულნი ბრძოლის ველიდამ თვისს თანამემამულეებს უამბობდნენ ბრძოლის ამბებს: აქებდენ გმირებს ქების ღირსსა, ხოლო აძაგებდენ იმ მეომართ, რომელთაც სირცხვილი აჭამეს იმ თემის სახელს, რომლის ძენიც იყვნენ... თემი — ეს დიდი პოლიტიკურ-სოციალური ერთეული იყო... თემი მთის ძეთა შორის ეს თავისებური ადგილობრივ შემუშავებული სახელმწიფოებრივი ორგანიზმი იყო: იგი შეჯგუფული ნება იყო, კოლლექტივური ერთეული, რომელიც თითოეულს წევრს ავალებდა თვისი „მე“, თვისი საპირადო ინტერესები თემის საერთო, საზოგადოებრივი ინტერესებისთვის დაემორჩილებია. თვალთა პირველი ახელიდამ მათ უკანასკნელ დახუჭამდის მთის თითოეულის შვილის წინაშე აღმართული იყო ის კოლლექტივური მბრძანებელი ბატონ-პატრონი, რომელსაც „თემი“ ეწოდებოდა... ვაი მას, ვინც არ იქცეოდა ისე, როგორც თემს სურდა... იმას თემი განიშორებდა როგორც უსარგებლო მავნე წევრსა... თემიდამ განდევნილს არავინ არ სთვლიდა ადამიანად: ის მოკლებული იყო ადამიანურს უბრალო უფლებებსაც კი... თვით დამარხვაც კი აღკრძალული იყო ასეთი მოღალატისა..

„თემისგან უარყოფილსა
გადაუგდებენ ძაღლებსა!“

ასეთი ბედი ხვდა წიწოლას, რომლის დედის სულიერი ტანჯვა ჩვენ ზემოდ გავიცანით. რა ჩაიდინა წიწოლამ? მოვუსმინოთ თვით დამქარს:

„წიწოლამ ლაფით გაგვთხიპა,
გაგვექცა სირბილიანი!
ნეტარ სად დაიმალება
სიცოცხლით სიკვდილიანი?
ფშავში როგორღა მოვალის
დიაცი ჩიქილიანი...
არ ვარგა მაგათი გვარი,
უჯიშო, სიცილიანი?
ხალხში როგორღა გამოვა?
ხატში როგორღა მოდგება?
ვინღა გაივლევს ახლოსა,
ჩააქვავებენ დედანი..
მიწამ შეჭამოს ცოცხალი
ე მაგისთანა მედგარი!.“

წიწოლამ კარგად იცოდა ყოველივე ეს. იცოდა, რომ ამ შემთხვევაში თემი გულცივი და შეუბრალებელია. არავის დაინდობს, ვინც უნდა იყოს. იგი არ დაგიდევს წინანდელს გმირობას და სამსახურს, უკეთუ ერთი, თუნდ უნებლიეთი, შეცდომა მოგივიდა... მან ამჯობინა ამის გამო თავის ნებითვე გამოთხოვებოდა სირცხვილიანს სიცოცხლეს..

მგოსანი გადმოგვცემს გულსშემზარავს სურათს წიწოლას თავჩამოხრჩობისას...

„ცა თავისათვის მყუდროდ სდგას,
გვერდ-სუფთა, ვარსკვლავიანი!
მუხაზე ჩამოკიდული
კაცი სჩანს სამკლავიანი
თავი დაურჩევავ მხედარსა,
თუ იყო გულ-ჯავრიანი!
იორი ყურსაც არ უგდებს,
ნელად აქანებს ტალღებსა.
არ ერიდება, დაობლდნენ,
მამა არა ჰყავთ ბალღებსა..“

მის საბრალო დედას ეწვის ძუძუები, ადგზნებული ცეცხლი გულის სიღრმეს უდაგავს, არა იმის გამო, რომ შვილი სამუდამოდ გამოეთხოვა წუთი სოფელსა, — არამედ იმ მიზეზით, რომ მისი შვილი სახელოვანი სიკვდილით არ გარდაიცვალა, რომ მან ასეთს სიკვდილს ნაძრახი სიცოცხლე ამჯობინა... და დასტირის წიწოლას:

„რაჲ იქ (ომში) არ მოჰკვდი, ზეჩავო,
რად ხარ ყელ საბელიანი?!
რად არ მომიხვედ წიწოლავ,
პირნათლი სახელიანი?!
გასწირე თავის ხსენება
საწყევარ-სარბევიანი?!

არავის ჰქონდა ნება ასეთს საშინელს ჟამს ნუგეში ეცა საცოდავი დედისთვის, რომლის მწუხარებას ის უფრო აორკეცებდა, რომ მას, ამ მის მწუხარებას, თემი არ იზიარებდა... მართლაც როდესაც სხვანი, შენი მსგავსი ადამიანები, შენს მწუხარებას იზიარებენ, მისი მონაწილენი ხდებიან, შენს დამწუხრებულს გულს შვება ეძლევა, მწუხარება უმსუბუქდება, და მაცოცხლებელი ნუგეშის სხივი ეფინება სულიერს ბუნებას. ის კი, წიწოლას დედა, მწუხარებაში ეულად, მარტო დარჩა?..

„მარტო რად სტირის დიაცი,
გვერდით არა ჰყავ სოფელი?
არ ისმის მოზარეთ ზარი,
გულს ლახვარ დამასობელი!“

ამის განმარტებას ვხედავთ ჩვენ თემის დადგენილებაში: მან გადასჭრა უკვე თვისი სამართალი:. წარუხოცველი სირცხვილით შემოსა წიწოლას სახელი მიუტევებელი დანაშაულობისათვის... ეს მოხდა მაშინ, როდესაც თემმა შეიტყო წიწოლას დასაძრახისი საქციელი. ხალხი შეიკრიბა ხატის წინაშე და შეაჩვენა წიწოლას სახელი:

„თასი დალვარეს ხატშია:
ახლოს მიუდგეს (წიწოლას) არვინა,
წიწოლას დანაშაული
აწეულია ცამდინა,
დაამცრო ჩვენი სახელი,
მთელს ლაშქარს გული ატკინა,
არც ვინ სამარეს გაუთხრის,
არც ვინ შაუკრავს კუბოსა;
მარტომ იტიროს დედამა,
ცრემლი წინ დაიგუბოსა!..“

ერთის წევრის საძრახი საქციელი მთელს თემს ჩირქსა სცხებს, სახელს უტეხს,—და თემი თვისი სახელის გამტეხს რადად შეიბრალებს? მას, ვით მავნე ასოს, მოიკვეთს და განაგდებს, ძაღლთა და სვავთა ლუკმად გახდის.. მაგრამ იგივე თემი თავს იწონებს, დიდად ამაყობს, უზომო სიხარულით აღტაცებულია, ოდესაც მის შვილთ თავი შეუშინებლად შესწირეს სამშობლოს თავისუფლებას, აღამაღლეს, განადიდეს მისი სახელი...

**ილ. ფერაძე**

(შემდეგი იქნება)



**მსახიობი ალ. იმედაშვილი**
ხვალ, კვირას 24 მაისს „სახაზინო თეატრში“ შეასრულებს ოტელოს როლს

# ნასხვისარი—გაჩემებურებული—

მიყვარს სურნელება ძველის გამომდგარი ღვინისა, გაბოლება კარგი თამბაქოსი, სპარსულ ხალიჩის უცხო რამ სახეები, სისალუქე აბრეშუმის ქსოვილისა, ცის ტატნობის სხვა და სხვა ფერობა, ზღვის ბუტბუტი, ჩურჩული ტყისა, სიმწვანე მინდვრისა და მიუვალ მთათა ვერცხლით მოჭედილი მუზარადი. მიყვარს ჭკვიანი, გულის ტკივილით დაწერილი წიგნი, ლამაზი ქალები, თეატრი, ყვავილები და ბავშვები.

მაგრამ მხოლოდ ამისათვის არ მიყვარს ცხოვრება.

არც იმისათვის, რომ მას თან ახლავს კეთილი და ბოროტი, მშვენიერება და სიმახინჯე, უფსკრული და მწვერვალი, სიმდიდრე და სიღარიბე. არა ამისათვის!

მიყვარს მისთვის, რომ ცხოვრება დაუცხრომელი და ბრძენი შემოქმედია.

მიყვარს მისთვის, რომ იგი ეძიებს და მიისწრაფვის, ჰქმნის კანონებს და არღვევს მათ, ანგრევს და აშენებს.

მიყვარს მისი დაუდგრომელი სული, მისი მუდამი ცვალებადობა, მარადიული შემოქმედება...

და თუ მე სულელი ვარ, სხვებზე ჭკვიანი ვარ მაინც; თუ ღარიბი ვარ, მაინც უმდიდრესი ვარ სხვებზე; თუ მახინჯი ვარ, მშვენიერი სხვებზე მაინც ვარ; თუ უბედური ვარ, მაინც ვარ სხვებზე ბედნიერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დამსახურებული მსახიობი ვასო აბაშიძე



სიჭაბუკის სურათი, 1879 წ. გადაღებული.



უკანასკნელი სურათი 1915 წ. გადაღებული

# მწირი-სარდალი

(გაგრძელება. იხ. „თ და ც." № 20)

**გივი** (გააყოლებს თვალს მოხუცს და ტანჯვით)
ოჰ, ეს მოხუციც იქ მიისწრაფვის,
მე-კი აქ უნდა ვიყო!.. ოჰ, ღმერთო,
როს ყველა თავს სდებს მამულისათვის
ეს ნება მარტო მე რად წამერთო?!
ერთის გრძნობითა ყველა სულდგმუ-
ლობს:
თავადი, გლეხი, დიდი, პატარა,
ქალი, ვაჟკაცი, სუსტი, ძლიერი
და თვით უფეხო ფეხზე დამდგარა!
მე კი, მხოლოდ მე, თუმც შემწევს ღონე,
მას სხვაზე ნაკლებ არ ვემსახურო,
უნდა სურვილსა გულში ვიკლავდე,
ვიდგე ასე და სეირს უყურო!..
რადა და რისთვის?.. რა დავაშავე:
რომ ასე ვწვალობ და ვიტანჯები?—
ნება არა მაქვს, როგორც ბავშვს, მქონდეს
ჩემი სურვილი, ფიქრი, აზრები!..
არა, როდემდის უნდა ვიყო მე
მარადის სხვისა მონა-მორჩილი?
როდემდის უნდა ვყავდე დედაჩემს
ხელ-ფეხ შეკრული და შებორკილი?
ვინ მიანიჭა ერთ ადამიანს,
თუნდაც მშობელსა, მისი უფლება,
რომ მეორესა გრძნობა დაუხშოს
და მოუსპოს მას თავისუფლება?..
არავინ!.. და ვინც ასე მოქმედებს
ის მტარვალია აზრის, გონების;
იგი შემქმნელი არის აქ ქვეყნად
ყველაზე უფრო საზარ მონების!..
(ჩაფიქრდება და გაივლ-გამოივლის. რამდე-
ნიმე ხანს აღელვებული დადის, შემდეგ დადგე-
ბა, ხელს შუბლზე მოიკიდებს და თავს დახრის.
შემოდის მართა. მიუახლოვდება გივის).
**მართა** (მკაცრად)
ბიჭო, გიორგი, ისევ აქა ხარ?!.
ახლა ლოცვის დრო არ არის განა?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გივი** (შეხედავს გაცხარებით)
ეჰ, დედა ჩემო, რა დროს ლოცვაა,
როდესაც სისხლში სცურავს ქვეყანა!.
**მართა** გააყრუოლებს) რაო, რას ამბობ?
**გივი** რას და ომია, —
ცუდი დღე უდგას თურმე სამშობლოს!
**მართა** მერე ჩვენ რაო?!
**გივი** როგორ თუ რაო?!
**მართა** როგორ და ასე! იმან იბრძოლოს,
ვინც თავის შველას ჰფიქრობს სისხ-
ლის ღვრით,
(ხმა მოტკბილებით)
ჩვენ კი ვილოცოთ და შევავედროთ
ღმერთს ჩვენი სული, რომ აქ მშვიდობა
და ნეტარება იქ დავიმკვიდროთ!
**გივი** შენ რამდენიც გსურს ილოცე, მე-კ
ვგრძნობ, რომ მეომრად ვარ გაჩენილი!
**მართა** (საშინელის ხმით) შენ ამბობ ამას?!
**გივი** (მტკიცედ) მე ვამბობ სწორედ!.
**მართა** ბავშვობიდანვე მწირად გაზრდილი,
საბრალოვ, სტოვებ ღვთის სამსახურსა
და გსურს, აილო ხელში მახვილი?..
დაგავიწყდა, რომ ვინც მახვილს იღებს,
მახვილითვეო იგი მოკვდება?..
**გივი** ოჰ, მაგას რა სჯობს, თუ სამშობ-
ლოსთვის
სიკვდილი მართლა მე მეღირსება!
(აღფრთოვანებით) „ნეტავი ვაჟკაცს, ღირსეულს,
ნეტავი მამულიშვილსო,
ბედი რომ წილად არგუნებს
სამშობლოსათვის სიკვდილსო!
„მის სახელს სამარადისო
ამ ქვეყნად ხსოვნა ხვდებაო
და სულიც სულთა წინაპართ
პირნათლად იქ შეხვდებაო!..“
**მართა** შე უბედურო, ქრისტემ არ ბრძანა,
რომ ბოროტს ძალით არ აღუდგეთო;
გიყვარდეთ მტერნი და მიაგებდეთ
მხოლოდ კეთილსა თქვენ მოძულეთო?
რომ სიტყვითაც-კი შეურაცხმყოფი
სხვისი სცოდავსო?
**გივი** არ ვიცი, არა!..
ეგების, ვცდები, მაგრამ ჩემ აზრსა
შემაცვლევინებ მაინც ვეღარა!
განა თვითონვე ქრისტე არ იყო,
რომ საჭირო დროს ძალა იხმარა
და შემწიკვლელნი წმიდა ტაძრისა
შოლტის ცემითა კარში გაჰყარა?..
თუ ის, ძე ღვთისა, ასე მოიქცა,
მაშ, ჩვენ რატომღა არა გვაქვს ნება,
ვიხსნათ მამული ოხრებისგან
და შებღალვისგან სარწმუნოება?!.
(მართა ჯერ გაშტერებული უყურებს; შემდეგ სახე უცებ ღმობიერებით ევსება; მიირბენს, დავარდება მის წინ მუხლებზე და ორსავე ხელს შემოხვევს. გივი შეკრთება და უნებლიეთ დაჯდება იქვე ქვაზე)
**მართა** (ცრემლმორეული
მაშ, აღარ გიყვარს მშობელი დედა
და გირჩევნიან მის თავს ქვეყანა?..
მე რომ შენს მეტი შვილი არა მყავს,
იმას კი ბევრი ჰყავს შენისთანა?..
ოჰ, ვერა, ვერა! შენ ვერსად წახვალ:
ვერ მოიძულებ უბედურ დედას,
უიმისოდაც მრავალტანჯულსა,
მხოლოდ შენში და ქვეყნად რომ ხედავს
ერთად ერთ ნუგეშს, ერთად ერთ იმედს!.
(გულზე მიიკრავს)
ჩემი ხარ, ჩემი და შენ თავს, შვილო,
ვერ დავანებებ, ვერა, ვერავის!..
(ჰკოცნის) შენ გენაცვალე, შენ, ჩემო ტკბილო!.
(ჰკოცნის და მის მკლავებს კისერზე შემოიხვევს) ბავშვობის დროს რომ იცოდი, ისე,
ჩემო ძვირფასო, მომხვიე ხელი,
მომიალერსე და გამიცოცხლე
დრო ბედნიერი, დრო სანატრელი,
როცა პატარას თავს გევლებოდი
და შეგხაროდი აღტაცებული,
რომ შენისთანა შვილის დედობა
მარგუნა ბედმა...
(მიეკვრის გულზე და სტირის)
**გივი** (ჯერ ძლიერ ღელავს და იტანჯება; შემდეგ უცებ, გამწარებული, ხელს გულზე მიიდებს და საშინელის ხმით)
ვაიმე გული!.
**მართა** (შეშინებული) რა იყო შვილო?!
(გივი რამდენსამე ხანს საშინლად იტანჯება და თან ეტყობა, რომ ებრძვის თავისს თავს, მაგრამ ბოლოს ვეღარ შეიმაგრებს ყელში მობჯენილ ცრემლს და დაიწყებს გულ-ამოსკვნით ტირილს; ტირილში თან და თან მშვიდდება.

ეროვნული

მართა, დამშვიდებულს რომ დაინახავს, კმაყოფილება ემჩნევა და კვლავ მოხვევს ხელს. მონასტრიდან მოისმა ზარის რეკა. მართა, ზარის ხმას რომ გაიგონებს, საჩქაროდ ადგება და დამშვიდებით) დარეკეს,—ღმერთი

გვიწვევს,მაშვრალნო და ტვირთ მძიმენო,
მოვედით ჩემდა გულითა წმიდით
და მოგანიჭებთ მშვიდობას თქვენო!..

(მცირე დუმილს შემდეგ)

წავიდეთ, შვილო,—რეკენ, არ გესმის?..
(ხელს ჰკიდებს) კმარა,—დამშვიდდი!..
(სწევს ზევით) წავიდეთ. კარგი!..
(სწევს მაგრად და გივიც უნებლიეთ აჰყვება)
წავიდეთ!..

**გივი** (მისუსტებული ხმით) სადა?..
**მართა** საყდარში, შვილო!
რეკენ,—მიგველის წმიდა გიორგი!..
(მიდის და გივიც მიჰყავს, ზარის რეკა კვლავ ისმის)

ფარდა.



# არის თუ არა ქართული თეატრი—ქართული?

(ნაწყვეტი 11 მაისს სახ. სახლში წაკითხულ ლექციისა)

...დიდი, განუზომელია მნიშვნელობა თეატრისა ყველა ერისათვის. კულტურა თეატრისა უმაღლესი კულტურაა ერისა. იგი ხარობს, ფრთებს ისხამს მასთან ერთად და ეცემა, კვდება ერის სიკვდილთან ერთად.

იზრდება და ვითარდება ჩვენი ერი, მხნედ; მამაცად მიილტვის წინ სამშობლო, მიუხედავად იმ საშინელ მატერიალურ და პოლიტიკურ პირობებისა, რომლებშიაც იგი იმყოფება. საქართველომ განვლო მოლიპული გზა და შერყეული აბობოქრებული ახალი ძალებით იბრძვის, ნაციონალურ სახის განსამტკიცებლად. ერი და ინტელიგენცია უკვე შეუდგა საკუთარ კულტურის გზის კვლს; მისი სულიერი მოთხოვნილება და ეთიკური ლტოლვილება მოითხოვს ეროვნულ ფორმებში ჩამოსხმას.

იზრდება და ვითართდება ქართველთა კულტურა: დღეს ის აღარ არის, რაც წინად იყო, მაგრამ საკითხავია შესძლო თუ არა ჩვენმა თეატრმა ქართველთა სულისკვეთების და ბრძოლის გამოხატვა, ჩამოქანდაკება, ე. ი. არის თუ არ არა დღეს არსებული ქართული თეატრი—ქართული და თუ არ არის, შეიძლება იგი გარდაიქმნეს ნამდვილ ქართულად?

არის თუ არა ქართული თეატრი—ქართული? რასაკვირველია, არისო, მეტყვის ბევრი, და განა შეიძლება არ იყოს ქართული? განა წარმოსადგენია, რომ ის თეატრი, რომელიც აი რა ხანია ასე პირნათლად ემსახურება ჩვენს ერს, იცავს თავის ენას, უღვიძებს ქართველთ სამშობლოსადმი სიყვარულს, შეიძლება ქართული არ იყოს? განა ის თეატრი, რომელმაც მოგვცა საუკეთესო მსახიობნი: ვ. აბაშიძე, მესხიშვილი, საფაროვ-აბაშიძისა, გუნია, კოტე მესხი,—შეიძლება ქართული არ იყოს?

დიახ, პირდაპირ ვიტყვით – შეიძლება.

შეხედეთ ოდნავ მაინც ჩვენს თეატრს, ჩვენი ეროვნების ეთიკურ მხატვრულ კონცეპციის შემოქმედების თვალსაზრისით და დარწმუნდებით, რომ ეს ასეა.

არის თუ არა ქართული თეატრი გამომხატველი ქართველისა, როგორც სპეციფიკური ნაციონალურ ფსიხოლოგიის და რელიგიის მატარებელ ადამიანისა?

გვყავს ეს ქართველი ქართულ სცენაზე? შეგვიძლიან გადაჭრით ვაღვიაროთ, რომ ხელოვნურის სხივით შექმნილი ქართველი, იდეური გაგრძელებაა ნამდვილ არსებულ ქართველისა?

გვითხრა ჩვენმა თეატრმა, თუ ვინ არის ქართველი? როგორია მისი სულისკვეთება? როგორია მისი ვნება? ძალა? რით საზრდოობს? რა ასულდგმულებს? ვიცნობთ ჩვენ ქართველ ადამიანის სულის დრამას?

ვინ არის ქართველი? ვიცნობთ მას ჩვენ, როგორც თავისებურ მსოფლიო ინდივიდუმს? რით განირჩევა იგი სხვისაგან? ვიცნობთ ჩვენ მის რელიგიურ ლტოლვილებას, რელიგიურ ექსტაზს? შეგვიძლიან ვსთქვათ, განვმარტოთ, თუ რა ფორმებში ხატავს იგი თვისს ექსტაზს?

ვინ არის ქართველი? ვიცნობთ ჩვენ მის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პსიხოლოგიას? ვიცნობთ ჩვენ მას, როგორც თავისებურ ტიპს, ჩამოყალიბებულს საქართველოს ისტორიის პირობებით?

გვითხრა თეატრმა, ვინ არის, ან რა გვარია ქართველი, როგორც ადამიანი?

ვიდრე ამაზე პასუხს ვუგებდეთ, თვალი გადავავლოთ უცხოეთის ინტელიგენციას, უფრო კი რუსეთისას: რა გვარია მათი წარმოდგენით ქართველი და ნამდვილად კი როგორია?

ალექსანდრე ახმეტელი

# იმვ აშიი საღამო

3-ს მაისს, „არტ. თეატრის" დარბაზში „ქართულ კულტურის მოყვარეთა საზოგადოების" გამგეობის თაოსნობით გაიმართა „აშუღების საღამო".

ეს ჩვენი ახალი საზოგადოება საკვირველის სისწრაფით იზიდავს საერთო სიმპატიას და ყურადღებას. სჩანს, „საზოგადოების" მეთაურთ, საქმის სიყვარულის გარდა, თავიანთ მიზანი საკმაოდ ნათლად აქვთ გათვალისწინებული და მის მისაღწევადაც გზისა და საშუალების ამორჩევა ემარჯვებათ.

სულ მცირე ხანში ამ „საზოგადოების" კრებებზე მოვისმინეთ საუბარი ქართულ ხალხურ ადათებზე, სამართალზე, აკაკის შემოქმედებაზე („აკაკი, როგორც სატირიკოსი"), ქართულ მართლწერაზე და მისისავე წყალობით დავსტკბით ძველებურ აზიურ მუსიკის მოსმენით.

როგორც ჰხედავთ, „საზოგადოებას" ფართოდ ესმის თავის მიზანი: ადათები, სამართალი, პოეტის ყოველმხრივი შესწავლა, გრამატიკა და, ბოლოს, აშუღები. პირველის შეხედვით, ყველა აქ ჩამოთვლილ საგანთა შორის, თითქო, საიმისო კავშირი არ არსებობს; მაგრამ მაინც ბევრი ფიქრი არ არის საჭირო, იმის გასაგებად რომ ხალხის კულტურა უამათოდ წარმოუდგენელია, რომ როგორც ქართველი პოეტის შემოქმედების კვლევა ძიება, ისე ქართული ენის კანონები, ქართული ადათები, სამართალი, მუსიკა და ყველა ის, რაც კულტურის მაჩვენებელი და გამომხატველია, უეჭველად უნდა შეადგენდეს ამ „საზოგადოების" მოქმედების საგანს.

„აშუღი" ქართული სიტყვა არ არის, მაგრამ ქართველებს იგი შესისხლხორცებული აქვთ აშუღი უეჭველად დამკვრელია და იმავე დროს მომღერალიც: თავის სიმღერას ალამაზებს თავისსავე დაკვრით ანუ მოსთქვამს სხვადა-სხვა შინაარსის სიტყვებს და მათ შთაბეჭდილებას აძლიერებს საკრავის ჰანგებით. სიმღერის მოტივებში ბევრს შეხვდებით თათრულს, სომხურს და ქართულს, ზოგჯერ თათრულ-სომხური მოტივები გადაქართულებულია, თუმცა ხშირად ქართულ კილოსაც აშუღები თათრულ-სომხურ ელფერს აძლევენ.

აღნიშნული საღამო „ქართულ" საღამოდ უნდა ჩაითვალოს, რადგან იმას გარდა, რომ მთელი პირველი განყოფილების სიმღერები აკაკის ლექსებზედ იყო აშენებული, თვით დანარჩენი ორი განყოფილების ჰანგების შინაარსს ქართული სიტყვები შეადგენდნენ.

საღამოს მრავალი ხალხი დაესწრო. შესაძლებელია, ბევრმა დამსწრეთაგანმა ვერ გამოიტანა ჯეროვანი შთაბეჭდილება; ეს არც საკვირველია: ძველ თაობას ჯერჯერობით შერჩენილი აქვს ძველი გემოვნება, ახსოვს ძველებური სიმღერები, მოტივები, დაკვრა; ახლები სულ სხვა პირობებში არიან აღზრდილნი: სკოლაში, ოჯახში, სცენიდან თუ ქუჩაში ესმით უმთავრესად ევროპიული ჰანგები; მათი ყური შეჩვეულია სკრიპკას, გიტარას, როიალს, სხვა-და-სხვა ორკესტრის ხმას, რაც ძველად საქართველოში არავის ენახა და არავის გაეგონა. ძველებურ აზიურ მუსიკას ჩვენში ნიადაგი ეცლება; აშუღების რიცხვი თანდათან მცირდება და შეიძლება მალე დადგეს დრო, როცა სრულიად იგინი მოისპობიან: ამბობენ, ქ. სიღნაღში მეღოლე და მეზურნე აღარ იშოვება და როდესაც საჭიროებათ იქაურებს, სხვა ადგილებიდან მოჰყავთო. 70-იან წლებში, ჩვენს ბალღობაში-კი, აქ 4—5 დასტა იყო და ყველას საკმაო სამუშაო ჰქონდა.

ამ დროიდანვე გვახსოვს ჩვენ აშუღების ამბავი. 70-იან წლებში ჯერ ახალი გადავარდნილი იყო ბატონ-ყმობა და ძველებურ ქართულ ფეოდალურ წეს-წყობილების ნაშთს და სულს

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცი კიდევ შეხვდებოდა: ჩვენს თავადობას ისევ უყვარდა ძველებური სტუმრიანობა, ქეიფი და ლხინი. ჩვენ მოვესწარით აზარფეშის ხმარებას (ყანწი ხომ ეხლაც გვიყვარს), გვინახავს მთელის კვირობით საზანდრის ანუ აშუღის დაქირავება; გვახსოვს, როგორ გადადიოდა საზანდარი ანუ აშუღი ერთის თავადის ოჯახიდან მეორეში, თითქო ეჯიბრებოდნენ, ვის უფრო შეუძლიან მეტ ხანს განაგრძოს სმა-ჭამა და მხიარულობა.

ხანგრძლივი სხდომითა და ლხინით მოქანცული სტუმარ-მასპინძელნი ზოგჯერ ადგებოდნენ, გამოვიდოდნენ სახლიდან, წინ გაიმძღვარებდნენ მომღერალ-მემუსიკეებს და ასეთის დიდის სიმხიარულით დადიოდნენ ქუჩა-ქუჩა სოფლებში და ქალაქებში. ეს გვინახავს, სხვათა შორის, სიღნაღში და, როგორც მოგვითხრობენ თანამედროვენი, ასე ყოფილა თვით თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქებშიაც.

ცხადია, რომ თუ კაცს ბალღობაში ხშირად ესმის ქუჩაში მხიარული მემუსიკეთაგან ათასნაირ ჩანგზე დაკვრა და სიმღერა, მას უეჭველად საბოლოოდაც ჩაჰრჩება რამე ამ ხმათაგან ყურსა და მეხსიერებაში.

ამიტომაც არის, რომ ხსენებულმა „აშუღთა საღამომ“ ჩვენზე შესანიშნავი შთაბეჭდილება მოახდინა. დიდის სიამოვნებით მოვისმინეთ თარი, ჭიანური, ჩონგური, ფანდური, სანთური და დაირა; საკმაოდ დაგვატკბო ჭაზირას მოთქმამ და სიმღერაში შეჯიბრებამ მისსა და გიგოს შორის.

უნდა მოგახსენოთ, რომ ეს სიმღერაში აშუღების შეჯიბრება ლხინის დროს საქართველოში ძველებური ჩვეულება ყოფილა, ისევე, როგორადაც, მაგალითად, გაშაირება, ზმა, გამოცანის ახსნა და სხვ. გაჯიბრებას ჰქონდა კითხვა-მიგების ხასიათი: ერთი აშუღი სიმღერით აყენებდა კითხვას მეორეს სიმღერითვე უნდა მიეგო ჯეროვანი პასუხი ამავე დროს ამათვე გვაჩვენეს ერთი შესანიშნავი ძველებური ჩვეულება: საჯარო დაჯილდოვება გამარჯვებულის აშუღისა, ისე, როგორც სცოდნიათ უწინდელ დროს: ამ საღამოს მიმგები იყო აშუღი ჭაზირა, რომელიც გამარჯვებულად იცნე; მოპირდაპირე ადგა და ნიშნად თავის დამარცხებისა ჭაზირას ხელზედ აკოცა და ჩონგური გადასცა; მათმა სხვა ამხანაგმა გამოიტანა წინადვე საჩუქრად გამზადებული ძველებურივე დარაიის ბაღდადი და ყელზე მოახვია გამარჯვებულ ჭაზირას, რომელსაც ეს საჩუქარი მთელს საღამოს ყელზე შერჩა, ხოლო ჩონგური პატრონსვე დაუბრუნა.

ამრიგად ეს საღამო ნამდვილი ისტორიული საღამო იყო: ძველი საკრავები, ძველი მოტივები, თავის ძველი ადათ-ჩვეულებებით. თუ ამას დაუმატებთ, რომ ყოველ ეჭვს გარეშეა დიდი სიძველე იმ ჩანგისა, რომელზედაც ჩინებულად იმღერეს ჭაზირამ და გეურქამ ლექსი — „სილამაზით პეპელა ხარ ხატისა“, შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ მუსიკალურ საღამომ თვალწინ დაგვიხატა და ყურით გვასმინა ის თუ, როგორ და რა სახით ლხინობდნენ ჩვენი წინაპარნი, ბევრი რომ არა ვსთქვათ, ამ რამდენიმე საუკუნის წინ.

ჩინებურადვე შეასრულეს: „ბაიათი“ (თარი) სანდრომ, „რასტი“ (თარი) გეურქამ. „შუშტარი“ (ჭიანური) ალექსანდრე ოჰანეზაშვილმა, „ჩარგა“ (ჭიანური) რუბენმა და სხ

ერთის სიტყვით, საღამო საუცხოვო და ფრიად მნიშვნელოვანი გამოდგა. სასურველია, რომ არ გაჰქრეს სრულიად ძველებური კარგი სასიმღერო და დასაკრავი ჩანგები. ამის თავდებობა, როგორც ემჩნევა, ჩვენ ნორჩ „კულტურის მოყვარეთა საზოგადოებას“ უკისრია, რისთვისაც დიდი და გამოუთქმელი მადლობის ღირსია

**ალ. მირიანაშვილი**

# ქართული სახიობა

**სახალხო სახლში** ქართ. წარმ. მმართ. წრის საშუალებათა გასაძლიერებლად შაბათს, 16 მაისს, გაიმართა სალიტერატურო, სამუსიკო და იუმორისტული საღამო (აწეულ ფასებში), რასაც აუარებელი საზოგადოება დაესწრო. წრე ამის ღირსიც იყო. წრის მოღვაწეობა და მისი გამგეობის მუშაობა იმდენად დაკვირვებული, მიზანშეწონილი და ნაყოფიერია, რომ არა თუ საზოგადოება, ჩვენებური საფინანსო და სვა საქველმოქმედო-საქალაქო დაწესებულებანიც მოვალენი არიან ამ წრეს ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ: წრის წარმოდგენების იდეური

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მხატვრული მხარე თითქმის მუდამ პირველ რიგზეა და ხალხშიაც დიდი თვითცნობიერება შეაქვს. ხსენებული საღამო კიდევ იმითი განირჩეოდა ჩვეულებრივ დილა-საღამოთაგან, რომ მრავალფეროვანი იყო, შინაარსიანი და საგულისხმო. დასდგეს სახ. თეატრის მოღვაწის კ ხახანაშვილის მიერ ნათარგმნი „ტაინი სოვეტნიკის სიზმარი“, რომელიც სცენის მოყვარეებმა მწყობრად წარმოადგინეს, განსაკუთრებით ტიპიურნი იყვნენ სახალხო თეატრის თვალი ნ გოცირიძე (კრუტოუზოვი) და მრავალნიჭიერი მ. ჭიაურელი (ვაჟი); კარგი იყო აგრედვე კ. ხახაშვილი (ლაქია). მგოსნებმა ს. აბაშელმა და გ. ქუჩიშვილმა თვისი მშვენიერი ლექსებით და მათი საგანგებო წარმოთქმით უზომო აღტაცება გამოიწვიეს, ი. ზარდალიშვილმა ებრაული სცენებით, ხოლო ნ. გოცირიძემ სომხური სცენებით დიდათ გაამხიარულეს დამსწრენი. მ. კავსაძის გუნდმა ქართული ეროვნული სიმღერები იმღერა ოსიკო ბარათაშვილმა, ა. ინაშვილმა (ბარიტონი) და ი. სარაჯიშვილმა თვისი სიმღერებით დიდათ დაატკბეს საზოგადოება. ინაშვილს (მოწაფეა) მშვენიერი ხმა აქვს, საკმაოდ დამუშავებული და დიდი იმედის მომცემი. უკრაინულად იმღერეს ქ-ნ ანდრეევსკისამ, ლენინმა და გორდენკომ. საღამოს გვირგვინი იყო ცხოველი შარჟები—ი. დაროშვილი — გრიშაშვილი, ძიმისტარაშვილი—ი. ზარდალიშვილი და მ. ჭიაურელი —ივ. სარაჯიშვილი, რომელთაც გასაოცარის სინამდვილით მიჰბაძეს ხსენებულ პირთ. საზოგადოება დიდათ კმაყოფილი დაიშალა.

**უსავანო**

**კოტე მესხის წარმოდგენა** სახალხო სახლში გაიმართა კვირას, 17 მაისს. წარმოდგენის დაწყებამდე შინაარსიანი და მჭევრმეტყველური სიტყვა წარმოსთქვა იოსებ მაჭავარიანმა, რომელმაც კოტე მესხი დაახასიათა როგორც მსახიობი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე. წარმოადგინეს კ. მესხისვე „რუსთველი“, მე 2-რე მოქ. და „ბაგრატ მეოთხე“ (მე 3-მე მოქ.), პირველ პიესაში მაღალ-ღირსეული იყო ნინო ჩხეიძე—თამარ მეფე, კარგი იყო აგრეთვე ვ. გუნია (ლიპარიტი). მოისუსტებდენ დიდებულნი მეორე პიესაში გვარიანად ჩაატარეს ვ. აბაშიძემ აზნაური ხვიჩია, ან. ქიქოძემ—დედოფალი და ი. ზარდალიშვილმა—ბაგრატ მეოთხე. აპოთეოზი სადად იყო მოწყობილი, მაგრამ ეს უფრო შეეფერებოდა: სცენაზე სვეტებს შორის კედელზე იდგა კ. მესხის ალალმა (მ. ჭიაურელის მიერ საუცხოვოდ გაკეთებული). ფარდის ახდისას მოისმა შოპენის სამგლოვიარო მუსიკა (პრესმანის ლოტბარობით ახალი კლუბის ორკესტრის მიერ შესრულებული), სცენის მარცხენა მხარეზე მდგარი მსახიობნი მოწიწებით მიუახლოვდენ კ. მესხის ალალმას და ვარდები მიუძღვნეს. შემდეგ მოგონება წაიკითხა განსვენებულის ძმამ, დავ. მესხმა, რომელმაც უმთავრესად კოტე დაახასიათა, როგორც რეჟისორი. შემდეგი სიტყვით მიმართა ალალმას იოსებ იმედაშვილმა, რომელმაც მოკლედ აღნიშნა, კ. მესხს სამშოლო თეატრის დაფუძნება-აღორძინებაში რა დიდი ამაგი მიუძღვის, ბოლოს საკუთარი, გრძნობიერი ლექსი წარმოსთქა დარია ახვლედიანისამ. დასასრულ მოისმა ისევე შოპენის სამგლოვიარო მუსიკა, რაიცა საზოგადოებამ ფეხზე ადგომით მოისმინა.

მ—ე

**ქართ. მსახიობთა ამხანაგობამ** მ. ქორელის რეჟისორობით სახ. სახლში ორშაბათს, 18 მაისს, წარმოადგინა ვ. შალიკაშვილის 4 მოქ. პიესა „გადაჭრილი მუხა“. პიესა სცენიურად ვერ არის დაწერილი, მოქმედებას მსჯელობა სჭარბობს, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი ბარი ნესტარია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ამიტომ სასურველია ხშირად იდგმებოდეს. ამ საღამოს მოთამაშეთა შორის პირველობა ან. ქიქოძეს ეკუთვნის, რომელმაც მაღალი წრის ქალი, ქვრივი კატო დიდის ხელოვნებით განასახიერა. მხატვრული სახე შექმნა ს. ბეჟანიშვილმაც (საბედო). თქმა არ უნდა, ტ აბაშიძე (სოფლის ბიჭი) მომჯადოებელი იქნებოდა. პ. კორიშელმა (გიგლა) თავიდან ბოლომდე შესაფერისი კილოთი ჩაატარა თვისი როლი. ი. ზარდალიშვილმა (ნიკო) და ალ. იმედაშვილმა (გოლა) სრული სახეები შექმნეს.—დამსახურებული ვასო აბაშიძე (თავ. დავითი), ევ. მესხი (კნ. თამარი) და ნინო ჩხეიძე (მერი) ღირსეულად, შესაფერის იერით ასრულებდენ ნაკისრ როლებს. ტიპიური გლეხები იყვენ მ. სარაული (მიხა), თარალაშვილი (ქიტესა), პ. ფრანგიშვილი (გიგა) და ვარვარიძე (გლეხი), აგრეთვე ნამდვილი მეეზოვე—მ ქორელი. ნ. გამრეკელ-თორელმა (ნინო) გვიჩვენა ნამდვილი, ბედკრული ობოლი ქალი. მშვენიერი გოგონა იყო ა შოთაძე (თებრო) ზ. გომელაური როლს რომ უფრო შეგნებით მოეპყრობოდა, აჯობებდა. ჩვენ მსახიობთა საერთო სენია —მათი საკუთარი ხმის შეუცვლელობა, მუდამ ერთ ლარზე ლაპარაკი, აგრეთვე ტანისამოსის და სახის უყურადღებობა, ეს კი დიდი ნაკლია.

საზოგადოება ბლომად დაესწრო.

**წინამძღვ—არი**

**სახალხო სახლში** სახ. წარმ. მმართ. წრემ კ. შათირიშვილის რეჟისორობით სამშაბათს 19 მაისს, წარმოადგინა ი. გედევანიშვილის „მსხვეოპლი“ და ვ. გუნიას „დედის ერთა“. წარმოდგენა გვიან დაიწყეს და გვიანაც გათავდა. ეს წრეს მაინც არ შეეფერება. ხალხი ცოტა დაესწრო, წარმოდგენამ რიგიანად ჩაიარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ბაქოში ქართ. სამხ.-სალიტ. წრის თაოსნობით** 3 მაისს, სომეხთა კაცთ-მოყვ. საზ. დარბაზში გაიმართა „ლექცია-წარმოდგენა.“ ლექცია წაიკითხა ახალგაზრდა ლექტორმა ბ-ნმა ალფ. ცისკარიძემ „მთიულების ზნე-ჩვეულებანი ალ. ყაზბეგის ნაწერების მიხედვით“. ლექცია შინაარსიანი გამოდგა.

ლექციის შემდეგ ბ-ნ ევ. თალაკვაძის ხელმძღვანელობით დასდგეს არსენა“ ალ. ყაზბეგისა. მოთამაშეებს როლების უცოდინარობა ეტყობოდათ, რეპელიკებს აგვიანებდენ, სცენაზე თავი მეტად უხერხულად ეჭირათ. სცენის მოყვარეთა თითქმის უმრავლესობა პირველად იყო გამოსული სცენაზე და მით უფრო საჭირო იყო როლების კარგად შესწავლა,—კარგის თამაშით ირჩეოდნენ მხოლოდ: ბ.ბ. ევ. თალაკვაძე (არსენა), ინაური (მოურავი—ზაქრო), ზუგდიდელს შეეძლო უკეთესად შეესრულებინა იორამის როლი, ბ. კალანდაძე (სირაჯი) აჭარბებდა.

თვით მიზანი—სახალხო წარმოდგენების მართვა, მდაბიო ხალხის ხელმისაწვდომ ფასებში, —ჩინებულია. ხოლო საჭიროა ამასთან პიესები რიგიანად იდგმებოდეს და პიესები სცენის მოყვარეთა ძალთა შესაფერი ირჩეოდეს. რეჟისორმა უმთავრესი ყურადღება ახალ სცენის მოყვარეთა გაწრთვნას უნდა მიაქციოს და მათ გაწრთვნას შესძლებს კიდეცა, ვინაიდან ყველა სცენის მოყვარეს დიდი ხალისი და სცენისდმი სიყვარული ეტყობა.

ვუსურვებთ სახალხო წარმოდგენების მმართველთ ნაყოფიერ მუშაობას.

—

10 მაისს იმავე დარბაზში გაიმართა „საღამო მეჯლისი“ გ. ქუჩიშვილის მონაწილეობით. ამ საღამომ, როგორც ხალხი მოელოდა, ვერ გაამართლა მოლოდინი: საღამოს გამმართველთ ბევრი ხელის შემშლელი პირობები და პირები გამოუჩნდათ.

პირველ განყოფილებაში ევ. თალაკვაძემ ჩინებულად წაიკითხა „შეშლილის წერილები“. მეორე განყოფილებაში დასდგეს „ოთხი იმერელი“, რომელმაც სუსტად ჩაიარა (მოხდენილის თამაშით ირჩეოდა ევ. თალაკვძე). დივერტისმენტში ხოროს სიმღერები ცოტა მოისუსტებდა. გ. ქუჩიშვილს ხალხი ტაშით შეეგება და რამდენიმე ჩინებულ ლექსის დეკლამაციით წაკითხვის შემდეგ ოვაციებითა და ყვავილებით დააჯილდოვა იგი. ლექსები წაიკითხეს ვ. აბრამიძემ და სან-გურულმა რიგიანის დეკლამაციით. დასასრულ პიანინოს აკომპანიმენტზე იმღერეს ბ. ბ. პეტუხოვმა და ა. ჭუმბურიძემ. ბ პეტუხოვის ხმა (ბარიტონი) მაინცა და მაინც ვერაფერი სასიამოვნო იყო, ხოლო ა. ჭუმბურიძემ ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ მას კარგი მომავალი აქვს.

საღამო გვიან დაიწყო და ალბად ეს იყო მიზეზი, რომ პროგრამა მთლად არ იქმნა შესრულებული.

დასრულდა ღამის 2 საათზე. ხალხი საკმაოდ დაესწრო.

**გულისაბა**

**დ. ხაშურში** შაბათს, 16 მაისს, ხაშურის ქარ. დრამ. წრემ წარმოადგინა ს. ტარუაშვილის „მამა და შვილი„ და ფარსი „მე მოვკვდი“. მონაწილეობდენ სცენის კოყვარეთა საუკეთესო ძალნი. დრამა იმდენად სუსტად იყო მომზადებული, რომ სცენისმოყვარეთ მაყურებელზე ვერავითარი შთაბეჭდილება მოახდინეს, უმეტესობამ პიესის შინაარსიც კი ვერ გაიგო. ცოცხლად, მეტად მხიარულად ჩაატარ.ეს ფარსი „მე მოვკვდი“ (უსახელო ავტორისა) და საზოგადოებაც ბევრი აცინეს. წარმოდგენას მეტად ცოტა ხალხი დაესწრო: შემოსავალმა ძლივს დაჰფარა გასავალი. ეს მოვლენა-კი გამგეობის დაუკვირვებლობას უნდა მიეწეროსა,ვინაიდან სრულიად არ უწევს ხოლმე ანგარიშს ხალხის ქონებრივ მდგომარეობას—ისიც ამ ომიანობის დროს: იმის მაგიერ რომ ხელმისაწდომ ფასებში ჰმართონ წარმოდგენები,—ფასებს საბენეფისოს არქმევენ.

ამ დღეებში, ხაშურის წრის დასი სად. გომს მიემგზავრება საგასტროლოდ, სადაც წარმოადგენენ ირეთელის„დამარცხებულნი“-ს გადაწყვეტილია,როგორც გომში, აგრეთვე მახლობელ დაბა-სოფლებშიც ჰმართონ იაფ-ფასიანი სახალხო წარმოდგენები.

**ნი ო გურული**

**ქ დუშეთში** ხუთშაბათს. 7 მაისს, ადგილობრივ ქართ. წარმოდგენების მმართეელმა წრემ საკრებულოს დარბაზში წარმოადგინა: ა) „არც აქეთ, არც იქით“, გუნიასი. ბ) „საღამოს ერთი ცხვირი ხეირია“, სუნდუკიანცისა“ და გ “ჩათრევას ჩაყოლა სჯობიან˙, ვ გუნიასი. სამივე პიესამ მხიარულად ჩაიარა კარგები იყნენ, მ. ოსიტაშვილი (საზოგადოდ ეს სცენის მოყვარე გვარიანად ასრულებს კინტოს როლებს), ლ. ბერიძე (დაგვანახვა ნამდვილი ტიპი ხაზეინისაგან დაშინებული ბიჭისა. გრიმი და ტანისამოსი შესაფერისი ჰქონდა), ქ-ნი ს.ბერიაშვილი და ვ.სადამონიძე. არა უშავდა ლ. ბერიძესაც (ოსკან პეტროვიჩი). მესამე ვოდევილში ცოცხლად ჩაატარეს ნაკისრი როლები ქალებმა: ს. ბერიაშვილმა, ვ სადამონიძემ, ა. კანდელაკმა და ბ-ნმა ა. ანაშვილმა (ნესტორ შვინდაძე).

საერთოდ საღამომ კარგად ჩაიარა, სამწუხაროდ ხალხი ცოტა დაესწრო, რაიცა იმის ბრალია, რომ გამგეთ ბილეთების გაყიდვაზე დროზე არ იზრუნეს და ბევრმა არც კი იცოდა, წარმოდგენა იყო თუ არა.

შემოსავალი გადაიდო სცენის სასარგებლოდ

ამ დღეებში ადგილობრივ ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების კრება მოხდება ახალ წევრების მისაღებად და გამგეობის ასარჩევად. ამავე კრებაზე ლაპარაკი იქნება, წ. კ. ვ. საზოგადოების და წარმოდგენების მმართველ წრის შეერთების შესახებ. რაიც სასურველია ნაყოფიერი მუშაობისთვის.

**შინაური**

—

# წვრილი ამბები

— **მგოსან სანდრო შანშიაშვილის** რედაქტორობით კვირას, 24 მაისს, გამოვა დღიური გაზეთი „საქართველო“.

◆ **მგოსან ვაჟა ფშაველას** პატივსაცემად "სიტყვა-კაზმულ საზოგადოების გამ-ბა" სახაზინო თეატრში დღეს, 23 მაისს, საღამოს ჰმართავს.

◆ **აკაკიობა**—აკაკის ყოველწლიური მოხსენება დაწესდა 9 თიბათვისთვის (ივნისისთვის'. ამ დღეს უნდა გაიმართოს, სადაც შეიძლება, დილა-საღამოები, რომლის შემოსავალიც ზეპირსიტყვაობის ფონდს მიემატება.

◆ **ხარფუხის კლუბთან წიგნსაცავ-სამკითხველოს** მოწყობა დაევალა სოფ მგალობლიშვილსა და როზან ბეგ ეფენდიევს. განზრახულია, რაც შეიძლება სამკითხველო კარგად მოაწყონ.

◆ **გ. ი. ჩუბინაშვილი**, ახალგაზდა მომღერალი გულითადს მადლობას უძღვნის მოსკოვის ქართველთა საზოგადოების წარმომადგენელთ ალ. ივ. იუჟინ-სუმბათაშვილს, დ. არაყიშვილს, ქ. ზანდუკელსა და სხვათა ხელოვნური ფეხის მოძღვნისთვის

◆ **ქართული ოპერა** კომპ. დ. არაყიშვილისა „თქმულება შოთა რუსთაველზე" რუსულად უკვე გადითარგმნა და მომავალ სეზონში რუსეთის ერთეთ სცენაზე დაიდგმის კიდეც.

◆ **აჭარელთა სასარგებლოდ** ქართველ ქალთა თაოსნობით თბილისში სალონი—საჩაიე დაარსდა.

◆ **ქართულ კულტურულ საზოგადოებათა** გაერთიანების შესახებ მოკლე ხანში შესაფერი შუამდგომლობა აღიძვრის.

◆ **სანდრო კავსაძის** ლოტბარობით და ნ. კავსაძის თაოსნობით ამ მოკლე ხანში ქართული კონცერტი გაიმართება.

**ჟურ. „თეატრი და ცხოვრება"** ხიდისთავის სამკითხველოს გაუწერა ივანე ანდღულაძემ.

◆ **რეჟისორ-მსახიობი შალვა დადიანი** და მსახიობ-ქალი ელ. ანდრონიკაშვილი გასულ კვირას ბაქოდან თბილისს დაბრუნდენ და მეორე დღესვე კახეთს გაემგზავრნენ. ამ ზაფხულს წარმოდგენებს გამართვენ სიღნაღსა და მის ახლო-მახლო სოფლებში.

◆ **კვირას სახაზინო თეატრში** ვალ. გუნიას თაოსნობით წარმოდგენილ იქნება „ოტელო". ოტელოს როლს შეასრულებს ალ. იმედაშვილი.

◆ **ქართ. მსახიობთა ამხანაგობა** სახალხო სახლში სამშაბათს, 26 მაისს, წარმოადგენს „დიდ მოურავ-"ს.

◆ **ახალგაზდა მწერალ-ლექტორი ვახ. კოტეტიშვილი**, რომელიც გასულ კვირას რუსეთიდან დაბრუნდა, აპირებს ლექციის წაკითხვას „ილია, როგორც პოეტი და პუბლიცისტი" (ილია ჭავჭავაძის კრიტიკოსების საპასუხოდ).

◆ **„ახალი ქართლი"** სამშაბათიდან—26 მაისიდან დღიურად გამოვა გორში.

◆ **ახალგაზდა მწერალმა დ. თურდოსპირელმა** დასწერა დიდი მოთხრობა „ამირანის ცეცხლი", რომელშიაც აკაკის ცხოვრებაა აღწერილი ბავშვობიდან მოხუცებამდე.

◆ **თელავში ამ ზაფხულს** ცნობილ მსახიობთა დასი დაიწყებს წარმოდგენების მართვას. მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ იქნებიან ადგილობრივი საუკეთესო ძალნიც. სეზონი დაიწყება 6 ივნისს.

◆ **მგოსანს ს. ფაშალიშვილს** განუზრახავს ამ თვის გასულს თელავში სალიტერატურო საღამო გამართოს კიტა აბაშიძის და მსახიობ-მწერალთა მონაწილეობით.

◆ **აჯიყაბულში** ქ. **ჩიქოვანის** თაოსნობით განუზრახავთ წერა-კითხვის საზოგადოების განყოფილების დაარსება.

◆ **ბორჯომის ქართ. მომღერალ-მგალობელთა გუნდი** შაქ. ტალიკაძის ლოტბარობით კვირას, 24 მაისს, ბორჯომის მჟავე-წყლის თეატრში გამართავს ქართულ კონცერტს, გლეხური სურათებით.

## შემოწირულება

**თეატრის სასარგებლოდ.** 27 აპრ. სად. აჯიყაბულში სტუმრად ვიყავით კ. კორძაიასთან, სადაც მასწავლებელმა გა—ძემ გამოაცხადა—ვინც ქართულ ლაპარაკში უცხო სიტყვას იხმარს, დაჯარიმებულ იქმნას საქველმოქმედო მიზნითო. ჯარიმად შეგროვდა 5 მან., რასაც ვგზავნი ქართული თეატრის ასაგებ თანხის გასაძლიერებლად. ქ. **ჩიქოვანი**

**აჭარელთა სასარგებლოდ** ბ. რედაქტორო! ამ წერილთან ერთად გიგზავნით ჩემ მიერ ყარაიაზში სხვა და სხვა პირთა შორის შეგროვილი ხუთ 5 მან. ომისაგან დაზარალებულ აჭარლების სასარგებლოდ და გთხოვთ ზემოხსენებული ფული გადასცეთ დანიშნულებისამებრ. შემომწირველნი:

ილიკო უოჩიშვილმა—80 კ, ათ-ათი მაუ-რი: ვ. ჭ—ლმა, დომ სურმავამ, გ, აზიზოვმა, უუფარაძემ, ან. ფირცხალავამ; ტიგრანამ—45 კ. ს. ახვერდიანმა -30 კ. თითო აბაზი ს. ვეკუამ, ალ. ცერცვაძემ დ. ჩაჩიბაიამ, ი. რ—ლმა; დ. მოდებაძემ—15 კ. სულ—5 მან.

**ჭიჭიკო**

## ფოსტა

**კახი** (ზაქათ.) **ზ. ე.** ს. გვაცნობეთ და გამოგვეგზავნებათ.

**ქუთაისი. ს. ჭ.-ს.** „მაცი ხვიტია" უკვე გადაკეთებულია ზ. საფაროვის მიერ.—გამოგვიგზავნეთ და თუ მოწონებულ იქმნა—დაიბეჭდება.

Дозволено Военной Цензурой.

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

# მიიღება ხელის მოწერა.

ამა 1915 წ. ენკენისთვიდან გამოვა სალიტერატურო, სამეცნიერო და სა-პოლიტიკო ყოველთვიური ჟურნალი

# „ახალი მოამბე“

ჟურნალი პარტიათა გარეშე, დემოკრატიულ-პროგრესიული მიმართულებისა

ჟურნალში უმახლობელეს მონაწილეობას მიიღებს ივანე სპ. ელიაშვილი, თანამშრომლებად მოწვეულნი არიან ჩვენი ცნობილნი მწერალნი

ჟურნალში დასაბეჭდად მოწონებულ ნაწარმოებთა ავტორებს მიეცემათ შესაფერი ჰონორარი.

პირველი ნომერი გამოვა ენკენისთვის 20—25- დე, ზომით 15—20 ფორმამდე

**რედაქციის ბინა:** თბილისი. ყაზბეგის ქუჩის შესახვევი № 4. ფოსტით: Тифлисъ, ред. груз. жур. „Ахали Моамбэ“.

**ფასი:** წლიურად 10 მ., ნახევარი წლით—6 მ., ხოლო ამა წლის ენკენისთვიდან ქრისტეშობისთვის გასვლამდე—4 მან. ფული უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ, редакція груз. жур. „Ахали Моамбэ“ Ивану Спир. Элиашвили.

რედაქტორ-გამომცემელი **ნინო ბეჟ. ყიფიანისა**

---

## მიიღება ხელის მოწერა 1915 წ.

ყოველ-დღიური სალიტ. და საპოლიტიკო გაზეთი

# „სახალხო ფურცელი“

(კვირაობით) სურათებიანი დამატებით (კვირაობით)

გამოვა იმავე პროგრამით, როგორც 1914 წ.

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით 4 მ. 50 კ. 3 თვით 2 მ. 25 კ. ერთი თვით 75 კ. ცალკე № შაურად, დამატებიანი 7 კ.

საზღვარ-გარედ თვეში ზედმეტი 50 კ. ◆ ადრესის გამოსაცვლელი ფასი: თბილისისა თბილისს გარედ, ან თბილისის გარეთისა ისევ თბილისის გარეთისაზე 40 კ. დანარჩენ შემთხვევებში უფასოა.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მ. 50 კ. შეუძლიანთ გადაიხადონ ნაწილობით: ხელისმოწერისთანავე 3 მ., 1 აპრილამდე 2 მ., 1 თიბათვემდე და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდ. გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

**ხელის მოწერა მიიღება:** „სახალხო ფურცელის“ კანტორაში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი. (შესავ. ეზოდან), 2) ქ. შ. წ.-კ. საზ. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში, 3) ქუთაისში გიგლა მებუკესთან.

ფოსტით: Тифл., газ. „Сахалхо Пурцели“, почт. ящ. № 190.

---

ქ. თბილისში გამოდის ყოველკვირეული იუმორისტული ვამოცემა

# ეშმაკის მათრახი

ჟურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებენ **ეშმაკი** და **თავუნა**, ხოლო გამოცემის საქმეს ა გ ბუკია

**თანამშრომლები:** ალბურითხი, ბლიკვაძე, ეშვი, ქშმაკი, თავუნა, კენტი, კვინწარი, კოდო, მორიელი, ნათუუგოდთნოსორი, ონისიმე, პიტნა, ფონ-ტეფო, შ. ქიქოძე, შმერლინგი, ჭიაურელი, ხუმარა და სხვ.

ჟურნალის ფასი—1 წლით 5 მ., 6 თვით 3 მან. 3 თვით 1 მ. 50 კაპ.

„ახალ მათრახში“ დაიბეჭდება მხოლოდ იუმორისტული შინარსის წერილები: ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, არაკები. შარადები, გამოცანები, ნაკვესები და სხ.

ჟურ. დაიბეჭდება საერთაშორისო ომის ილიუსტრაციები.

რედაქცია სთხოვს ყველა თანამშრომლებს მასალები გამოგზავნონ ამ ადრესით: Тифлиссъ С.П. Таварткиладзе. Баронская 15, почт ящ № 190 (ეშმაკის მათრახისთვის)



Типографія „Сорапань“ სტამბა „სორაპანი“

თევზის მრეწველნი

ძმ.

ძებველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ. № 9

ტელეფონი № 71-2.

განყოფილება

ავლაბარში

ფოსტის განყოფილების ქვეშ

საკუთარ სახლში

იყიდება

იმავე ხარისხის

საქონელი

როგორც პუშკინის ქუჩაზე

წელიწადი მესამე

მიიღება ხელმოწერა 1915 წ.

ყოველკვირეულ სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო და საზოგადოებრივ ჟურნალ

„თეატრი და ცხოვრება“-ზე

იუმორისტულ განყოფილებით და შარჟებით

წლიურად 5 მ. ნახევარი წლით 3 მან.

„თეატრი და ცხოვრება“ ყოველგვარ ჯგუფურ-დასურ მიმართულების გარეშეა

ჟურნალი უმთავრეს ყურადღებას მიაქცევს სცენის, სიტყვა-კაზმულ მწერლობის, მუსიკის, ქანდაკების, სამხატვრო-სახელოვნო და საზოგადოებრივ მოვლენათა გარკვევას. **ყოველ ნომერში დაიბეჭდება სარეპერტუარო პიესა.**

**ფ ა ს ი:** წლით **5** მან., ნახევარი წლით **3** მან., თითო ნომერი **10** კაპ. ფულის შემოტანა ნაწილნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს **2** მ., მარტის გასვლამდე **2** მ., დანარჩენი 1 მ. ენკენისთვის 1.

**ხელმოწერა მიიღება:** რედაქციაში („სორაპანი“-ს სტამბაში) დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ჟურნალ-გაზეთების კანტორა **„განთიად“**-ში, **„ცოდნას“** წიგნთსავაჭროში, რკინის გზის სახელოსნოში—**ალ. ძაძამიასთან, ქუთაისში** თ. მთავრიშვილის წიგნთ სავაჭროში **ს. ეპიტაშვილთან**

**მიიღება განცხადებანი ჟურნალში დასაბეჭდათ. განცხადების ფასი:** 1 გვ. ორიგებით, 2, გვ. კორპუსის პწკარი ერთ სვეტზე 25 კ. 3-ზე—20 კ., 4-ზე—15 კ.

ფული და ყოველგვარი მასალა უნდა გამოიგზავნოს იოს. იმედაშვილის სახელზე. ფოსტის მისამართი: Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба“ **Іосифу Имедашвили**

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**




ნომრები „ავრორა“

**ახლად შეკეთებული, საუცხოვოდ მოწყობილი, სუფთა, ელექტრონის სინათლით** ქალაქის შუაგულს, ვორონცოვის ძეგლთან. **ნომრები ოთხი აბაზიდან.** ნომრებში სამზარეულო, ცხელი და ცივი წყლით საბანოებით (დუში და ვანნა).

თბილისი, მიხეილის პროსპ. № 5.

ტელეფ. 13—14 (წ)